Research

ტურიზმის ყოველთვიური მიმოხილვა

ნოემბერი 2021

- საერთაშორისო მოგზაურთა რიცხვი 2021 წლის ნოემბერში 288.8%-ით გაიზარდა, 2020 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, და 73.0%-ით შემცირდა 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა 267.2%-ით გაიზარდა (2021/2020) და 69.3%-ით შემცირდა (2021/2019), ხოლო საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა 283.2%-ით გაიზარდა (2021/2020) და 55.3%-ით შემცირდა (2021/2019).
- 2019 წელს და შემდეგ მთელი პანდემიის განმავლობაში საქართველოს გამყვანი ტურისტული ვიზიტების საერთო რაოდენობაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ 2021 წლის დასაწყისიდან შეინიშნება საერთაშორისო მოგზაურობაზე მოთხოვნის მნიშვნელოვანი აღდგენის ტენდენციები, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს ვაქცინაციითა და დანიშნულების ქვეყნებში საზღვრის კვეთის რეგულაციების შემსუბუქებით.
- ქართველ ვიზიტორთა ძირითადი მახასიათებლების შეფასება აჩვენებს, რომ გამყვანი ტურიზმის ინდუსტრია საკმაოდ კონცენტრირებულია ვიზიტის მიზნებისა (3 უმსხვილესი კატეგორია მთლიანი ვიზიტების 82.4%-ს შეადგენს) და მონახულებული ქვეყნების (მთლიანი ვიზიტების 82.9% 4 ქვეყანაზე მოდის) მიხედვით. შესაბამისად, აღნიშნული ქვეყნების მიერ შეზღუდვების შემსუბუქება ზრდის გამყვანი ვიზიტების აღდგენის მოლოდინს.

საქართველოს გამყვანი ტურიზმის აღდგენა და ძირითადი მახასიათებლები

ქვეყნების მიერ საზღვრის კვეთის რეგულაციების შემსუბუქება და მასობრივი ვაქცინაციის საპასუხოდ მოგზაურთა თავდაჯერებულობის ზრდა დადებითად აისახა საერთაშორისო მოგზაურობის მოთხოვნის დონეზე. თუმცა, გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიხედვით[I], მიუხედავად იმისა, რომ 2021 წლის III კვარტალში მსოფლიო ტურიზმი მნიშვნელოვნად გაიზარდა, აღდგენის ტემპი კვლავ ნელი, არამყარი და არათანაბარია მსოფლიოს რეგიონებში, რაც ძირითადად გამოწვეულია მობილობის განსხვავებული ტიპის შეზღუდვებით, ვაქცინაციის დონითა და მოგზაურების თავდაჯერებულობით. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია იმის გაანალიზება, თუ როგორ იმოქმედა ამ გლობალურმა ცვლილებებმა საქართველოს გამყვან ტურიზმზე.

2020 წლის I კვარტალში, 2019 წლის I კვარტალთან შედარებით, საქართველოდან საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა მხოლოდ 6.7%-ით შემცირდა. 2020 წლის II კვარტალში, COVID-19-ის გლობალურ პანდემიად გამოცხადებისა და ახალი შეზღუდვების ტალღის შემდეგ, გამყვანი ვიზიტების რაოდენობამ შესაბამისი პრე-პანდემიური (2019) მაჩვენებლის მხოლოდ 6.5% შეადგინა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შემდგომში, 2020 წლის განმავლობაში, გამყვანი ვიზიტორების რაოდენობის ეტაპობრივი აღდგენა შეინიშნებოდა. 2020 წლის III კვარტალში ვიზიტორების რიცხვმა შესაბამისი პერიოდის პრე-პანდემიური რაოდენობის 8.1% შეადგინა, ხოლო 2020 წლის IV კვარტალში ამ მაჩვენებელმა 11.1%-ს მიაღწია.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2021 წლის დასაწყისიდან, აღდგენა კიდევ უფრო დაჩქარდა. 2021 წლის I კვარტალში ვიზიტორთა საერთო რაოდენობამ 2019 წლის შესაბამისი პერიოდის გამყვანი ვიზიტების 11.9% შეადგინა, ხოლო 2021 წლის II კვარტალში ეს მაჩვენებელი 18.3%-მდე გაიზარდა და 2020 წლის II კვარტალთან შედარებით, გამყვანი ვიზიტების რაოდენობა თითქმის გასამმაგდა. 2021 წლის III კვარტალში აღდგენის დონემ 2020-2021 წლების მაქსიმუმს, პრე-პანდემიური მაჩვენებლის 22.8%-ს, მიაღწია და 2020 წლის III კვარტალთან შედარებით ვიზიტების რაოდენობა 181.1%-ით გაიზარდა, რაც შესაძლოა აიხსნას ვაქცინაციის დონის ზრდითა და ვაქცინირებულთათვის დანიშნულების ქვეყნებში შესვლის შეზღუდვების შემსუბუქებით.

საქართველოს გამყვანი ტურიზმის პოსტ-პანდემიური მოლოდინების უკეთ შესაფასებლად, უპირველესად, მნიშვნელოვანია, გავაანალიზოთ ქართველი მოგზაურების ძირითადი პრე-პანდემიური მახასიათებლები[II]. აღსანიშნავია, რომ 2019 წელს საქართველოდან გამყვანი ვიზიტების უმრავლესობა (94.4%) განმეორებითი ვიზიტი იყო, რაც შესაძლოა აიხსნას იმით, რომ გამყვანი ვიზიტორების 70.3%-ისთვის მოგზაურობის დანიშნულების ადგილის შესახებ ინფორმაციის წყაროს მეგობრები/ნათესავები წარმოადგენდა, ხოლო ვიზიტორთა 49.4% ინფორმაციის წყაროდ წინა ვიზიტებს იყენებდა. გარდა ამისა, 2019 წელს, გამყვანი ვიზიტების შემთხვევაში, მოგზაურობის მიზნებს შორის ყველაზე ხშირად მეგობრებთან და ნათესავებთან სტუმრობა დასახელდა და აღნიშნულმა კატეგორიამ მთლიანი ვიზიტების 36.2% შეადგინა. ვიზიტების მეორე ყველაზე გავრცელებული მიზანი იყო შოპინგი (28.7%), რასაც მოჰყვა საქმიანი (17.5%) და რეკრეაციული ვიზიტები (მხოლოდ 12.8%).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წელს, უმეტესად, გამყვანი ვიზიტორები მოგზაურობისას განთავსების საშუალებად მეგობრების/ნათესავების სახლს (42.6%) ირჩევდნენ, რასაც მოსდევდა სასტუმროები (21.6%), საკუთარი სახლი (12.4%) და ნაქირავები ოთახი/სახლი (12.1%). ამით ნაწილობრივ აიხსნება, 2019 წელს, გამყვან ვიზიტორთა საერთო დანახარჯებში განთავსების საშუალებების დაბალი წილი (18.3%).

საბოლოოდ, უნდა აღინიშნოს, რომ გამყვანი ტურიზმი საკმაოდ კონცენტრირებულია ვიზიტის მიზნებისა (3 უმსხვილესი კატეგორია მთლიანი ვიზიტების 82.4%-ს შეადგენს) და მონახულებული ქვეყნების (მთლიანი ვიზიტების 82.9% 4 ქვეყანაზე მოდის) მიხედვით. აქედან გამომდინარე, ქართველი ვიზიტორების მიერ ყველაზე ხშირად მონახულებად ქვეყნებში, როგორიცაა თურქეთი (2019 წლის ვიზიტების 44.7%) და სომხეთი (11.7%), ვაქცინირებული და გატესტილი ვიზიტორებისთვის მიმოსვლის რეგულაციების შემსუბუქება, 2022 წელს, გამყვანი ტურიზმის აღდგენის ტემპის ზრდას მოასწავებს.

I https://www.unwto.org/news/global-tourism-sees-upturn-in-q3-but-recovery-remains-fragile
II საქართველოში COVID-19-ის გავრცელებასთან დაკავშირებული რისკების თავიდან აცილების მიზნით, 2020 წლის II კვარტალიდან საქმიანი ტურიზმის სტატისტიკური გამოკვლევის საველე სამუშაოები შეჩერებულია. შესაბამისად, გამყვანი ვიზიტორების მახასიათებლების გასაანალიზებლად გამოყენებულია 2019 წლის მონაცემები.

სასტუმროს ფასების ინდექსი

რეგიონი	სასტუმრო		3*, 4*, 5*		საოჯახო	
	2021 ნოე/ 2021 ოქტ	2021 ნოე/ 2019 ნოე	2021 ნოე/ 2021 ოქტ	2021 ნოე/ 2019 ნოე	2021 ნოე/ 2021 ოქტ	2021 ნოე/ 2019 ნოე
კახეთი	6.7%	55.8%	-1.3%	27.9%	11.6%	63.1%
იმერეთი	8.9%	34.7%	8.6%	48.0%	9.1%	26.0%
გურია	-7.2%	-19.8%	-1.5%	11.2%	-9.9%	-42.2%
ქვემო ქართლი	-9.3%	31.4%	-17.6%	27.3%	0.0%	-
აჭარა	-7.8%	-8.5%	-12.1%	-11.3%	2.1%	2.3%
რაჭა	-2.2%	20.6%	-	-	-2.2%	20.6%
შიდა ქართლი	4.6%	21.3%	-4.5%	30.8%	9.5%	12.5%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	-3.8%	12.0%	-2.4%	-0.6%	-4.9%	20.8%
სამცხე-ჯავახეთი	0.7%	4.1%	0.5%	1.5%	0.8%	5.6%
მცხეთა-მთიანეთი	-5.6%	21.9%	-7.9%	28.4%	-3.6%	18.1%
თბილისი	-12.5%	0.3%	-12.3%	1.8%	-14.0%	-8.7%
სულ ფასების % ცვლილება	-8.0%	3.9%	-9.6%	3.3%	-6.0%	0.5%

ცხრილი 1: ფასების % ცვლილება 2021 წლის ნოემბერში, 2021 წლის ოქტომბრის ფასებთან შედარებით და 2019 წლის ნოემბრის ფასებთან შედარებით.

საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[3] 2021 წლის ნოემბერში, 2021 წლის ოქტომბერთან შედარებით, 8.0%-ით შემცირდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 9.6%-ით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 6.0%-ით შემცირდა.

2021 წლის ნოემბერში, 2019 წლის ნოემბერთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 3.9%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 3.3%-ით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 0.5%-ით გაიზარდა.

სასტუმროს საშუალო ფასები

2021 წლის ნოემბერში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[1] **135 ლარი** შეადგინა, ხოლო 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა - **226 ლარი**. საოჯახო ტიპის სასტუმროების[2] საშუალო ფასმა ნოემბერში **101 ლარი** შეადგინა.



გრაფიკი 1: 3, 4 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროებში სტანდარტული 2 ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით (5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასები იხილეთ ტექსტში).

5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა ნოემბერში **395 ლარი** შეადგინა. კახეთში, ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 555 ლარი შეადგინა, თბილისში - 544 ლარი, გურიაში - 397 ლარი, ხოლო აჭარაში - 354 ლარი.

საბაზისო ეკონომიკური ინდიკატორები

	2016	2017	2018	2019	I 2020	II 2020	III 2020	IV 2020	2020	I 2021	II 2021	III 2021
1	1054.1	1437.5	1800.0	2 223.0	427.2*	310.4*	335.8*	247.5*	1320.9*	187.9*	558.7*	-
2	6720.0	7902.5	8679.5	9357.9	1333.1	114.2	150.3	149.6	1749.3	134.7	351.3	815.4
3	3297.3	4069.4	4756.8	5080.5	765.3	82.3	113.6	125.9	1087.0	116.6	305.8	670.4
4	2110.7	2704.3	3222.1	3268.7	427.7	28.8	42.5	42.6	541.7	53.6	246.1	-
5	386.3	463.6	524.7	657.2	124.1	13.5	20.9	22.0	180.5	19.8	37.1	-
6	120.0	109.5	82.3	123.4	7.4	-6.0	1.5	-252.4	-249.5	-0.5*	-2.3*	6.9*

1 მშპ მიმდინარე ფასებში განთავსების საშუალებებისა და საკვები ობიექტების აქტივობებიდან (მლნ)

2 საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა (ათასი)

3 ტურისტების რაოდენობა (ათასი)

4 საერთაშორისო მოგზაურობიდან შემოსავალი (მლნ აშშ დოლარი)

5 ქართველი მოგზაურების დანახარჯები საზღვარგარეთ (მლნ აშშ დოლარი)

6 პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ჰორეკა სექტორში (მლნ აშშ დოლარი)

1 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3*, 4*, 5* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3*, 4*, 5* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3*, 4* და 5* სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით.

2 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცი--რე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.

3 სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით.